გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 28

2024 წლის 9 თებერვალი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი "გორის" (ს/კ 417874973) 2023 წლის განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორის" (ს/კ 417874973) 2023 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორის" (ს/კ 417874973) 2023 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 3 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

საქართველო
ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის
ფეხბურთის კლუბი გორი"
ელ. ფოსტა info@fcgori.ge
მის. ქ.გორი გურამიშვილის ქუჩა №5
ტელ. 0 (370) 27-08-01 27-81-03

GEORGIA
NLP GORIMunicipality
Football Club GORI
email: info@fcgori.ge
adress: 5 Guramishvili str.
Telephone: (+995 370) 27 08 01

№ 07

20 იანვარი 2024 წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძე-ს

ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"
გასული დოკუმენტაციისთვის
№ 07 "20" 01 2024

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

ბატონო დავით,

თქვენს მიერს გამოგზავნილი 2024 წლის 15 იანვარს წერილის N 21-21240158 პასუხად გიგზავნით ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორის" გორი-ს 2023 წლის განვლილი პერიოდის ანგარიშს.

2023 წელს საფეხბურთო კლუბი გორი, აქტიურად მუშაობდა ინფრასტრუქტული პროექტებისა და სპორტული შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით. ასევე ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის.

2023წელს შეკეთდა გურამ გაბუნიას სახელობის ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაზიანებული ადგილები, მოედნის გარე პერიმეტრი გამოიცვალა,სრულად განახლდა ღამის განათება, არსებული სტადიონის ეზოს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, ასევე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკოლაში არსებულ შენობის სახურავს,გამოიცვალა შენობაში არსებული წყლის მილები.

გურამ გაბუნიას სახელობის სკოლის ბუნებრივ საფარიანი მოედანზე მოხდა დამატებით ბალახის შეთესვა, მინდვრის გასაუმჯობესებლად 2023 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ქვიშის შეტანა, ბალახი მუშავდებოდა საკვებით და შხამქიმიკატებით, რომელზეც ინტენსიურად ხორციელდება ასაკობრივი გუნდების ვარჯიშები და თამაშები.

2023 წელს, გურამ გაბუნიას სახელობის საფეხბურთო სკოლა, რომელშიც ბავშვთა რაოდენობამ 1100-ს გადააჭარბა, აღიჭურვა ინვენტარით, ეკიპირებით,კომპიუტერით თელევიზორით, რაც მწვრთნელებს საშუალებას აძლევს მეტი დრო დაუთმონ ვიდეო განხილვებს და თეორიულ ვარჯიშებს.

2023 წელს კლუბის დირექტორის ინიციატივით ხორციელდებოდა , საფეხბურთო სკოლის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მშობლებთან ყოველთვიური შეხვედრები, რომელთა მიზანიც არის კლუბისა და ფეხბურთით დაინტერესებულ მხარეთა შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება და მომავალი ურთიერთობების პროექტების დაგეგმვა, ასევე ერთიანი გეგმის განხორციელება ბავშვთა საფეხბურთო და არასაფეხბურთო განათლების მიღების პროცესში.

2023 წელს საფეხბურთო კლუბი გორი, აქტიურად თანამშრომლობდა, გორის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდთან, სავარჯიშო პირობებისა და სპორტული ინვენტარის მიწოდების კუთხით, რამაც ხელი შეუწყო ევრო ტურნირებზე გასასვლელად და იქ უკვე წარმატების მიღწევაში, ასევე გვყავს ქალთა გუნდი რომელიც პოპულარიზაციას უწევს გოგონების ჩართულობას ქართულ ფეხბურთში.

გასული წლის დიდი მიღწევა იყო, საფეხბურთო სკოლის ასაკობრივი გუნდების წარმატებები, 2023 წელს ბავშვთა ჩემპიონატებში და ტურნირებში პირველი ადგილი დაიკავა ექვსმა გუნდმა ,მეორე ადგილი ხუთი გუნდმა, ხოლო მესამე ადგილი შვიდი გუნდმა.

2023 წელს წარმატებულად იასპარეზა გორის ,,გორის,, ფუტსალის გუნდმა, რომელმაც შეძლო პლეიობში მოხვედრა.

საფეხბურთო კლუბი გორის გორმა 2023 წელს განახორციელა ინფრასტრუქტურულ სამუშაოები ქართლის სტადიონზე განახლდა ბუნებრივ საფარიან მოედნის დაზიანებული ნაწილები, რომელიც გათვალისწინებულია ასაკობრივი გუნდებისთვის, გაუმჯობესდა სარწყავი სისტემა.(გამოიცვალა სპინკერები) განახლდა სარწყავი ავზი, განახლდა გასახდელი ოთახი,გამოიცვალა ტრიბუნის სკამები,ასევე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა გარე პერიმეტრზე.

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ გორის ,,გორმა'' შეიძინა საწამლი დანადგარი.

2023 წლის დეკემბერში გაიმართა თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 10 გუნდი. საქართველოდან 7 გუნდი, 2 გუნდი

ყაზახეთიდან და 1 ლიტვიდან, ასევე რაც ძალიან საყურადღებოა ტურნირის ფორმატი იყო გაცვლითი.

2023 წელს კლუბში მომუშავე ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და სპორტული პერსონალის კვალიფიკაციებმა სრულად დააკმაყოფილა ლიცენზირების დებულებით დადგენილი მოთხოვნები, კლუბმა ასევე წარმატებით იმუშავა სხვადასხვა სპორტული, სამართლებრივი და ფინანსური მოთხოვნების შესასრულებლად, რის შემდეგაც 2023წლის ნოემბერში მოიპოვა 2024 წლის სეზონის ლიცენზია, რის შემდეგაც ფეხბურთის განვითარების ფონდიდან დამატებით მივიღეთ დაფინანსება,რამაც ხელიშეუწყო სპორტული ინვენტარის განახლებას.

2023 წელს თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე წარმატებით ჩატარდა საერთაშორისო თამაშები (ქალთა ეროვნული ნაკრების , მსოფლიო შესარჩევი მატჩები, ასევე ახალგაზრდული ნაკრებების საერთაშორისო მატჩები, კონფერენც ლიგის საერთაშორისო მატჩები), რამაც ხელი შეუწყო ლიცენზიის მიღებას.

2023 წელს თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე შეიცვალა სტადიონის განათების სისტემა და მოედნის საფარის დაზიანებული ადგილები, განახლდა ტაბლო და გენერატორი, ტრიბუნის დაზიანებული სკამები,ელეკტრო კაბელები, სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საშხაპეებს.ადმინისტრაციულ შენობაში შევიძინეთ კომპიუტერები, ტელევიზორი, და მოხდა განახლება ინვენტარის, გამოიცვალა გათბობის სისტემა.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
ფეხბურთის კლუბი გორი“–ს დირექტორი / გ. ბასილიძე